ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 427

(მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი **31 დეკემბერი 2012 წელი**

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) - შემდეგში „შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბაბილუას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ფოთი ლიფტი", მისი დირექტორის მერაბი როყვას სახით - შემდეგში „მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა.

„შემსყიდველი" თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 31 დეკემბრის N600 ბრძანების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს თვითმმართველ ქალაქ ფოთში, მრავალსართულიანი სახლების ლიფტების მოვლა–პატრონობის მომსახურებას (შემდეგში „მომსახურება').

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია და ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი: თვითმმართველ ქალაქ ფოთში, მრავალსართულიანი სახლების ლიფტების მოვლა–პატრონობის მომსახურება (დანართი 1).

- მოვლა-პატრონობა უნდა გაეწიოს თვითმმართველ ქალაქ ფოთში 65 ერთეულ სამგზავრო ლიფტს. მომსახურება მოიცავს: ლიფტის ძალოვან ტრანსფორმატორებზე, მართვის კარადაზე, ელექტრო ძრავებზე და გამშვები აპარატურის მუშაობაზე მუდმივი მეთვალყურეობის დაწესებას, მათი გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონერების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე რემონტს. მიმწოდებელი ვალდებულია გააჩნდეს 24 საათიანი მორიგეობის პუნქტი (სათანადო მოწყობილობებითა და ტელეფონით), სადაც მობილიზებული იქნება ჯგუფი, რომელიც მოსახლეობის შეტყობინების საფუძველზე მოახდენს მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში არსებულ ლიფტების ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრას. მიმწოდებელი ვალდებულია ლიფტების მოვლა-პატრონობა განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ამასთანავე პასუხისმგებელია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების ექსპლუატაციის დროს მიყენებულ ზარალზე. მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების შედეგად გახარჯული ელექტრო ენერგიის საფასური.

2.2 **შესყიდვის საშუალება** - გამარტივებული შესყიდვა.

შესყიდვის კატეგორია - 50700000-შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 50750000 - ლიფტების ტექნიკური მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 თვითმმართველ ქალაქ ფოთში, მრავალსართულიანი სახლების ლიფტების მოვლა–პატრონობის მომსახურების ღირებულება შეადგენს **3000** (სამი ათასი) ლარს, დღგ-სა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (დანართი 2 ფასების ცხრილი).

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 მომსახურების მიწოდების ვადაა - 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია და (მიღება-ჩაბარების აქტი, შესრულებული სამუშაოების აქტი ფორმა №2, ფორმა N3) საგადასახდო ანგარიშფაქტურა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 24 მაისის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურებების სამსახური.

9.2 მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურებების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.5 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქ ფოთი (თვითმმართველი ერთეული)	შპს „ფოთი ლიფტი"-ს დირექტორი
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	
დავით ბაბილუა	მერაბი როყვა
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №-12 სს „საქართველოს ბანკი"	მის: ქ. ფოთი, მემედ აბაშიძის ქ.№14/78 სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია" ფოთის ფილიალი
ა/ა GE 49BG0000000912389300, ბ/კ BAGAGE22, ს/კ № 215138143	ა/ა GE 93VT0600000001513603, ბ/კ LBRGE22, ს/კ № 215149783

დანართი 1

65 ერთეული სამგზავრო ლიფტის ადგილმდებარეობა, რომელსაც უნდა გაეწიოს მოვლა-პატრონობა

№	ს/სახლების ლიფტების ადგილმდებარეობა	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1.	ჭავჭავაძის ქუჩა №138	ცალი	1
2.	ჭავჭავაძის ქუჩა №140	ცალი	1
3.	ჭავჭავაძის ქუჩა №142	ცალი	1
4.	ჭავჭავაძის ქუჩა №144	ცალი	1
5.	ჭავჭავაძის ქუჩა №148	ცალი	1
6.	ჭავჭავაძის ქუჩა №150	ცალი	1
7.	ჭავჭავაძის ქუჩა №152	ცალი	1
8.	ჭავჭავაძის ქუჩა №156	ცალი	1
9.	ჭავჭავაძის ქუჩა №158	ცალი	1
10.	თამარ მეფის ქუჩა №2	ცალი	1
11.	მიქაბერიძის ქუჩა №4	ცალი	1
12.	მიქაბერიძის ქუჩა №6	ცალი	1
13.	9 აპრილის ხეივანი №14	ცალი	3
14.	9 აპრილის ხეივანი №18	ცალი	4
15.	9 აპრილის ხეივანი №33	ცალი	2
16.	ვ. გორგასლი ქუჩა №7	ცალი	4
17.	დ. თავდადებულის ქუჩა №7	ცალი	2
18.	დ. თავდადებულის ქუჩა №9	ცალი	4
19.	დ. თავდადებულის ქუჩა №11	ცალი	2
20.	ერეკლე მე-2-ის ქუჩა №30	ცალი	1
21.	დ. აღმაშენებლის ქუჩა №8	ცალი	1
22.	დ. აღმაშენებლის ქუჩა №35	ცალი	1
23.	დ. კლდიაშვილის ქუცა №88	ცალი	1
24.	მემედ აბაშიძის ქუჩა №14	ცალი	1
25.	რუხაძის ქუჩა №5	ცალი	1
26.	ჭყონდიდელის ქუჩა №18	ცალი	1
27.	გურიის ქუჩა №179	ცალი	1
28.	გურიის ქუჩა №181	ცალი	1
29.	გურიის ქუჩა №183	ცალი	1
30.	გურიის ქუჩა №185	ცალი	1
31.	გურიის ქუჩა №187	ცალი	1
32.	კოსტავას ქუჩა №16	ცალი	1
33.	კოსტავას ქუჩა №18	ცალი	1
34.	კოსტავას ქუჩა №20	ცალი	1
35.	ჭანტურიას ქუჩა №7	ცალი	4
36.	ჭანტურიას ქუჩა №9	ცალი	4
37.	ჭანტურიას ქუჩა №11	ცალი	4
38.	სევასტოპოლის ქუჩა №12	ცალი	1

39.	სევასტოპოლის ქუჩა №14	ცალი	1
40.	სევასტოპოლის ქუჩა №16	ცალი	1
41.	ნინოშვილის ქუჩა №39	ცალი	1
42.	ნინოშვილის ქუჩა №41	ცალი	1
	სულ		65

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ბაბილუა

„მიმწოდებელი"

შპს „ფოთი ლიფტი"-ს
დირექტორი

მერაბი როყვა

დამოწმებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი
მომსახურებების სამსახურის უფროსი

დავით ჯომახიძე

საქართველო
თვითმმართველი ქალაქის – ფოთის საკრებულო
Self - Governing City of Poti Sakrebulo

№2-03/8328 31 12 2012 წელი

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ტ. ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ელექტრონული ტენდერების გამოცხადება, გამარჯვებულის გამოვლენა და მათთან ხელშეკრულების დადება გარკვეულ დროსთან (არანაკლებ 25 დღე) არის დაკავშირებული. 2013 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ისეთი სახის მომსახურებები, რომელიც წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;

ამდენად, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ელექტრონული ტენდერების საშუალებით ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენამდე და შესაბამისი ხელშეკრულების დადებამდე თვითმმართველ ქალაქ ფოთს (თვითმმართველ ერთეული) გამიზნული აქვს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდოს შემდეგი მომსახურებები:

1. ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება;
2. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და გაუვნებელყოფა;
3. საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობა;
4. სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობა;
5. გარე განათების მოვლა-პატრონობა;
6. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობა;
7. უფასო სასადილოს დაფინანსების პროგრამა;

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბაბილუა

საქართველო

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება

№ 600 31 12 2012 წელი, ქალაქი ფოთი

თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2013 წლის ბიუჯეტის სახსრებით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ქალაქის ქუჩების დაგვა - დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა - გაუვნებელყოფის, საბინაო ფონდის, სატუმბო სადგურების, გარე განათების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების მოვლა - პატრონობის მომსახურებების შესყიდვის შესახებ".

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურებების სამსახური ქალაქის ქუჩების დაგვა - დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა - გაუვნებელყოფის, საბინაო ფონდის, სატუმბო სადგურების, გარე განათების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების მოვლა - პატრონობის უზრუნველყოფის მიზნით, ტენდერის გამოცხადებამდე ითხოვს ზემოაღნიშნული მომსახურებების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვას.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. თვითმმართველ ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2013 წლის ბიუჯეტის სახსრებით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ იქნეს ქალაქის ქუჩების დაგვა - დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა - გაუვნებელყოფის, საბინაო ფონდის, სატუმბო სადგურების, გარე განათების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების მოვლა - პატრონობის მომსახურებები.

2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა აღნიშნული ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული

მომსახურებების გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

3. დაევალოს თვითმმართველ ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების, მიღება-ჩაბარების აქტის და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურებების სამსახურის მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე დააფინანსოს აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბაბილუა

საფუძველი: „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელის 2012 წლის 31 დეკემბრის №1-05/3421 მომართვა.

შემსრ: იურიდიული განყოფილება